დროთა სულერთა

დოროთეა

სულერთა

თბილისი 2020 წ.

UDC (უაკ) 821.353.1-1
დ-767

© დოროთეა 2020
ISBN 978-9941-8-2550-7

წვიმები, რომლებზეც ვფიქრობ

მე გავგიჟდები ალბათ ამაღამ!
ქარები ისევ ატეხენ ხორხოცს
და უსასრულო ვარსკვლავთ ფორიაქს
დავეწაფები, რომ შევეხორცო.

*

მიესაწყისე
ჩემს ვითომყოფას,
ჩემს ვითომ ქროლვებს
მისდევდი თითქოს.,
თუმც უსაწყისო სიყვარულს მერე
გამოვუჭიმეთ მიზანი ჭიგოდ.
სულ არაფერი დარჩა ნამდვილი
— წვიმები, მხოლოდ რომლებზეც ვფიქრობ

*

და დასასრულმა შეხსნა ჭიშკარი
ერთი ხელის კვრით,
იღონდ ჭრიალით
და ეს თვალები
ვარსკვლავთა ნაცვლად
ცრემლებს ბადებენ
ყოველღამ ახლა.
მზეს თვალი ვკიდე მე ქვეყნის კიდეს,

ოღონდ ბასრია, როგორც სიცივე
და დავივიწყე
და ავირიდე,
როგორც მომწყდარი ლეღვის სიმწიფე.
წვიმებს მზეები დააქვთ
ნაბადით
და არ თავდება ეს ლაპარკი!

*

წვიმის წვეთები ფანჯრის რაფაზე
ძველ მდნარ სანთელთან გროვდება მორგვად.
ო, როგორ გითხრა სიტყვებით ახლა
ის, რაც ნოტებში მუსიკამ მთხოვა?!

*

ფანჯრიდან ძვრება
მცოცავი წვიმა, იქ სადაც
გდია ბავშვობის წინდა.
არ შემიძლება, რომ არ გავიქცე,
სანამ ეზოში ჯერ არ დაბინდდა!
იქ გუბე არის მიწის ნაპრალში,
ვით ბაგის ბოლოს
ნაჭყლეტი ლოყა –
წვიმები იყო წვიმების ბოლოს.
ეს საუბარი წერტილს ითხოვდა!

*

ჭადრების ფართო
ფოთლებს აფენენ,
ასე უდროოდ მდნარი წვეთები,
ბოლოს სულ ყველა დაჩუტავს აფრას
და სველ მიწაში წვება გულაღმა.
გავიდა ჟამი ისე უეცრად,
როგორც პეშვიდან კამკამა წყალი.
სულ ერთი ყლუპი ყოფილა თურმე
და როგორ გინდა დაიხრჩო თავი?!

*

მე გავოცდები
რომ გავიზარდე,
რომ არ მახარებს სველი ბოტები,
მხოლოდ წვეთებით ასხმულ ფანჯრებზე
დღეის მუსიკა ისმის ნოტებით.

*

და მიდევნებით,
წვეთნი თამაშით
გზებს ახლართავენ ფანჯრის რაფაზე
და ეს ნაფაზი-
ბოლო ნაფაზი

სიტყვას წაგართმევს,
რომ თქვა – ნახვამდის!
სველდება ცივი წვიმით სამყარო,
რომ აიბურდოს, რომ აიბლანდოს
და წვიმით ნაქსოვ ბადეში
ახლა
სველი თევზივით სხმარტალებს
“ნატვრა“

*

ეს მიძონძილი
დღეები ზამთრის
მისდევენ ერთურთს,
უაზრო ტანჯვით,
რომ დაეკიდონ
კვლავ მთვარის საკიდს,
გადაცვეთილი ნაწყვეტი ბაწრით.
ნაუცფათევად შეჭედეს კარი
იმ სახლის, სადაც
სამოსელს იძრობ
და ყველაფერზე მეტია ფიქრი-

სულ არაფერი რომ აღარ გიხმობს.
რჩება სამყარო წვიმებით შორი,
ვით ჩანასახი იმედის სწორი!

*

მე შევიშლები ალბათ ამაღამ,
ქარები ისევ ატეხენ ხორხოცს.
სულ არაფერი მაოცებს ახლა
—წვიმები მარტო
წვიმების ბოლოს

20.09.2020

კვართი

ეს მიწა, შემოსილი უფლის კვართით
ჯვარცმას აარიდე, ღმერთო!
ღმრთისმშობლის საფარველს შეაფარე
— ჩვენ ხომ ვნებულება გვერგო!

ვიდრე ფერდს უგმირეს,
ჯვარზე მყოფს ტკივილებში,
დედა მოწაფეს ავედრა ერთგულს.
იცოდა, ბავშვივით ვიჭირვიულებდით და
მის კალთას შეგვავედრა შემდგომ.
ის, მხოლოდშობილი,
უფლის ძედ ცნობილი,
იყო გოლგოთაზე
ჯვარცმისთვის შობილი,
თუმც ჯვარი პაჰრაკმა ზიდა — ემხრო.
წყალიც ძმრიანი სვა

—„ელი ლამა საბაქთანი”
მამას უღაღადა და
სიკვდილამდე ჩვენი
პატიება შეძლო!
ეკლით შეთხზულ გვირგვინს
და მხედრების სიცილს გაუძლო!
ვერ უძლებს მხოლოდ

ჯვართან დედის ტირილს.
უმრწემეს მოწაფეს
სიყვარულს აბარებს
და ქვეყნის აღსასრულს ისე ანახებს,
რომ ეს ქმნილება როგორმე გადარჩეს.
უსიყვარულებას ჩვეულს
გზად, გოლგოთისკენ,
მრავალგზის დავარდნებს
არ აპატიებენ და ჯვარზეც აკრავენ
“რატომ დამტოვეო ღმერთო!”
დედის ნაქსოვი
კვართი ათბობდა,
მხოლოდ ის ეკვროდა
მის წმინდა სხეულს.
და მერე გვისახსოვრა
ასე მოგვიწოდა - მისთვის
რომ გვეომა რჩეულთ!
მრვალი ჩინებული,
მცირედი რჩეული
და არავინ ჩვეული-
ჯვარს და გილგოთას...
ეს ჩვენ ვიყავით
სიკვდილით ძლეულნი

— შენ გვააღდგომებ, ღმერთო!
დედის ნაქსოვი
კვართი ათბობდა,
მხოლოდ ის ეკვროდა,
მის წმინდა სხეულს.
მერე საიდანაც
ვიყავით აღებულნი,
რისგანაც გვქმნიდა რჩეულთ,
ის მიწა შეიტკბო,
ის მიწა შეიმოსა,
ვიდრე აღსდგებოდა —
ძლევაი საკვირველი, შეძლო.
რომ ასე დაშლილებმა
ესე ნაწამები
სისხლი, წვეთებად,
მიწაში ვთესოთ;
ვაზის ლერწებად
აღმოგვიყვანე და
შენს ზენა დიდებას
მტევნად შეგვაბი, შეგთხოვთ!
ოღონდ წინაპრების
ძვლებზე შეკიდებული მიწა
შეგვინახე, ღმერთო!

დედის სიყვარულს ისევ მიგვაჩვიე
და კვართში ჭრილობებით
ისევ შეგვახვიე,
შენთვის მოგვაკვდინეს, ღმერთო!
წარმოცალიერდი
მხოლოდ ჯვარცმისათვის.
რომ: ეკლით დაკაწრულ
ჩვენს უძლურ სხეულს
ისევ აღდგომა ერგოს.
იდგა მოციქული –
სიყვარეულს უგალობდა,
ოღონდ
ჟამის სისავსის შემდგომ!
იდგა ქალწული –
დედის ტკივილებში,
რომ ჩვენ
ვშობილიყავით
უფლისთვის, ღმერთო!

09.14.2019

ზედმეტობა

არ მიყვარს,
როცა სიტყვებს არჩევ,
როცა ფქვილივით იფანტება ფიქრი,
გადამწონის ზედმეტობა ახლა.
სჯობს ზამთრის ბუხარს
შეუკეთო ფიჩხი!
ვბორიალობდი ჩემთვის,
როგორც უამინდობის განცდა....
გეგმების გადატენილი თოფი
საფეთქელთან მიგიტანია რახან,
ნისლივით განუჭვრეტად ყოფნას
მირჩევნია, რა თქმა უნდა, წასვლა!
გატყავებულან მთები,
მუცლად მყოფები ზამთრად.
მერიდე!
ვერ გაუძლებ ვიცი,
ჩემს მოურიდებელ ნატვრას.
მიჯაგლაგებული ჟამი
მიბმულა დაცარიელებულ სახლთან.
საათი აწკარუნებს ისრებს,
იწყება დროით უმოწყალო დაღლა.
აჭრიალებს ქარი სასაფლაოს ჭიშკარს
და კუბოს სხვისას ყლაპავს.

03.12.2017

შეგიძლია წერო ლექსები

შენ შეგიძლია წერო ლექსები
მე შემიძლია პასუხი გითხრა.
უკვე ყველაფერს ადევს ელფერი
მთვლემარე ღამის,
სითბოს რომ იკრავს.
მთვარის ღიობთან
დარჩენილს მარტო....
გაციებულზე გული მტკიოდა
და ძაღლის ნაცვლად
მგლური ყმუილი
აღარ მესმოდა,
კატა კიოდა.

კვირტში ვარდები ეჭირათ ხეებს,
მიწა გარბილდა –იებსა ქარგავს
და ატმის ყვავილისფერი კაბისთვის
გადავივლდი, ალბათ, მე ცხრა მთას.
მიცინის მთვარე,
სრულიად წვრილი–
გამოჟონილი არარსობიდან.
იმედებს მაძლევს,

საპნის ბუშტივით
რომ არ გასკდება
გავსილი მარცვლად.
წვიმები თბილი
ქვეყნიდან მოსულ
მერცხლებთან ერთად
ეძებენ ბუდეს -
სახლში, რომელშიც
ზღაპრების წიგნზე
იძინებს ბავშვი
რაფაზე უცებ,

კონა იების,
მიყიდე ხურდით
მწვანილთან ერთად
რომ აქვთ ბაზარზე...
და სიყვარული, რომელიც უჭირთ,
ჰგავს სააღდგომოდ დასაკლავ ბატკანს.

შენ შეგიძლია წერო
ლექსები.
მე შემიძლია
ლექსებად ავხდე.

და უმიზეზოდ მოსულ
გაზაფხულს
საბოდიალოდ
წვიმებში გავყვე.

31.03.2019

ჭინკები

ქალაქში ჩამოიქცა ღამე.
მთვარეა გაჭიმული სიმად,
ვერაფერს ვერ დავარქმევ სახელს,
ტყუილებს ისახავენ მიზნად.
ფარვანა სანთლის შუქზე მიბმით,
განლევს ამ წუთიერ ყოფას.
ვიღაცას ურჩევნია ღამე,
ვიღაცას, რომ ღამეში ჩადნეს.
ზოგმა იმიზეზა ბევრი,
მერე გადაშენდა მალე.
სჯობია, დამელოდო სადმე,
სჯობია, მონატრების ითქვას
სანთლის შუქმა – ზიგზაგებად გასვლით,
ჭინკები ხის ტოტებზე დასხა.
ჭრიჭინებით მოქსოვილა ბადე –

აგვისტოს ცხელი ღამის გაბმის
მთვარე, ალესილი დანა,
ყელზე მიბჯენილა თითქოს!
სიყვარულის უნარს როცა ვკარგავთ,
სამყარო ვარსკვლავების ცრემლებს ითხოვს

29.08.2017

მ ო მ ა ტ ყ უ ე

მე გთხოვ, ცოტა ხანი მომატყუე,
მჯეროდეს მინდა, რომ გიყვარვარ....
რაღაც უსაშველოდ გავიტრუნე,
ფიფქებად მძიმე ღრუბლებს მივყავარ.
ხეებზე ფოთლები ოქროსფერნი
დიდხანს გაჩერებულნი გინახავს?!
მოუვლის ქარაშოტი მთიანების
და ქალაქი გადიქცევა წრიალად.
რაღაცას მეუბნები, მე არ მესმის,
ღელავენ თამაშობენ სიაფანდს.
მქონდა დამალული ეს ლექსები—
ტკივილით ალესილ ხმალს მიაგავს.
უცებ გაიბრწყინებს გაუგები
სინათლე წყვდიადების საფუძველი,

ღამე მზიანებში მიყავხარ.
გთხოვდი, მომატყუე სიყვარულით,
მაგრამ ისედაც გადავრჩები.
ეს შენ მილოდინე იყავ და;
თოვლმა მზე მთვარისფერი გამოხადა
და ღრუბლის კალთებზე მიაბა.
მიყვარს ეს ზამთარი მოწყინების...
სიყვარულს უნატერფალოდ
რომ მიჰყავხარ.
წავალ მაღლა მთებში— მყინვარებში,
რომ გვანან ოცნებების იალქანს.
მიყვითლებული ფოთლების
ხეებზე გაჩერების
ძალა აღარა აქვს მზის კალამს.
გევედრები მილოდინე,
მთელი გულით —
გინდა გიყვარდე, გინდ არა!
ფიფქივით დნებიან მეგობრები,
ფოთლებით გვიგზავნიან მისამართს.

11.2018

მხსნელი

არ გათენებული დღეა მარტის,
წვიმას ფიქრობს, მაგრამ
სიამოვნებით წაუბარდნის.
დუმილია შიგნით
და მანქანების ჯაჭვში
წაუპიპინებს ვინმე განცდით.
მერე მკითხავენ – „მე თურმე რა მჭირს?!“
მივემსგავსები სახით აჩრდილს სარკის.
მთებია თურმე სადღაც გაღმით,
მაგრამ ამ უმისამართო ბოდიალს
რაღა გაბრდღვნის!
ქარი ხეთა კენწეროებში
აბამს კავშირს.
ფინია ლეკვივით,
ყოველ ღამ ამოსულ მთვარეს
დილა მოუქნევს სახრეს,
უსინათლობა დილის
ღამის სიბნელეში იწვის.
აწი აცაბაცა ვივლით!
და სასწორივით სწორნი,
დავრჩით ჩვენ ორნი.
ქალაქი აფრენს და

ჭუჭყის აფრებს აფენს,
გული დახშულია
როგორც წისქვილის კარი,
თუმც წვეთავს შხამი
და ცხოვრების აზრი
ხეზე მოდებული არის ხავსი!
გული – ჭაში
ჩავარდნილი სათლი,
ადამიანები კი არა,
ფუღუროები გავხდით!
ჰკიდია ცხოვრება
მთვარის ნეკნზე
და ღამით უმზეურობის
იქარვებს წადილს.
ახლა ბაასი გვაქვს:
„მე ნეტა რა მჭირს?!“

მხსნელი მჭირდება სისხლის
უკანასკნელი წვეთის განცდით,
მაგრამ ღმერთისთვის
შექმნილი ჯვარცმით,
პაჰრაკად ადამიანი დადის!
ჩვენ ხომ ფუღუროები გავხდით,

ტანზე მოდებული ხავსით,
არ იჩორკნება ჯვრები ჩვენგან აწი!
ღამეს მთვარესაც
ფხასავით ამოვაცლით
და უკუნი უკუნისამდე დაგვღლის
—არ გათენებული დღეა მარტის
  აი თურმე რა მჭირს!

03 .03.2017

ყ ო ლ ი ს ა

ნაშუაღამევო ფიქრებო,
ნეტამც მამწყინდეთ ყოლისავ,
სწორპირ გიჭვრეტდეთ ნაყვარევთ,
თავ არ მტკიოდეს ქონისგან,
ვიყო და ვყოვნო ყოფისას
სიკვდილზე გადაზომისგან.
გულ–სიყვარულის ნატერფავს
პირთამდე ცრემლით მოიბანს.
ავსებს და ვერღა ივსების,
მწვერვალთა თოვლის დნობისგან.
შეგეფეთები თოლით და
განვიზიდები ყოვლითა.

ყოილთა ჩქამი ნიავში
ან წვეთი
ღრუბლის წყობისა ...
არცრა მინდოდა არროდეს.
თავი არ მქონდა თხოვნისა.
თავისით ჩნდება სამყარო
ერთი პატარა მდოგვისგან.

გული ნატერფალს მიაგავს.
ნახჭნში ჩავარდნილ ყოფისას,
შიგნი კამკამებს
ცრემლები,
წამწამზე ჩამობროლვისა.
მზიანებს ყორნის ბალანი
სისხლისფრად ჩამოქროლვისგან.
არარის?!
ჭრაქი ჩააქრეთ,
სული მეხუთვის
ხრჩოლვისგან.
შავ ჩოხას მბზინავ ყაწიმებს
დარდ—ჟანგად შაჭამს, ომისგან
ვკვდებოდე, არღა ვრჩებოდე,
აღსრულდა, რისთვის, ვშობილვარ.

მკვდარ გულ აბრუნდეს ბელტისებრ,
— გიყვარდე მარცვლად მდოგვისა,
ნაალაფარი კი არ ვარ,
ცალი ვარ შემოხვდომისა!

15.04.2019

მ ჭ ი რ დ ე ბ ი

მთვარით დაკემსილი დღეა,
ცივა მიტოვებულ სახლში.
როგორც მიგდებული ჩუსტი,
გამოდებული კარში,
მ ჭ ი რ დ ე ბ ი, მაგრამ არ ხარ
წაგიღეს წლებმა მაშინ, როცა
დაიზლაზნებოდა კატა
რიკულებიან ბანში...
მწიფე ყურძნების მტევნებს
ეხუტებოდა ვაზი...
მე შეშინებული გისმენ.
თვალს ვეღარ გიყრი თვალში;
მეგონა ბრძნობდი, თუმცა
წვიმას მიყვებოდი ტაქტში.
მუდამ დანაშაულია ჩემი,
მუდამ შეუნდობლად ბარდნის.
ჩამოიზლაზნა დილა,
მთვარიდან ისე ცივად,
რა გადაიტანს, ნეტავ,
ყოველდღიურობის ფიცარს?!
მეყოფოდი ვფიქრობდი მუდამ,
შენ კი აღმოჩდი უკან!

გრძელდება ცხოვრება თურმე.
სიკვდილი ყოფილა ხურდა
ჭრიჭინა ნაბიჯებს გაუკვალავ თოვლში,
ზამთარი აცაბაცად. მიჰყავთ.
მ ე ნ ა ტ რ ე ბ ი, მაგრამ არა.
წარსული განგოზილი მიყვარს!

20.02.2018

ქარი

მთვარე ყვითელია
ოდნავ ჩაღუნული,
ალბათ ფოთოლივით
უნდა ჩამოწყვეტა.
გული -
მიტოვებულ სახლს ჰგავს
ყანის ბოლოს,
კარი აულურსმეს,
შუშა გადარჩება.

მერე შემოდგომა მხრებით
მოაწვება,
ქარით შეეცდება
ალბათ შემოლეწვას.
მთიდან წარღვნასავით
როცა ჩამოირბენს,
ცხელი შოთის
სუნის იქით წასაღებად..

მერე შურიანი
ფარდას ეკითხება
-„გინდა გაგიყოლებ.
სადმე მზიანებში,

მარად ყინულებს, რომ
ბრწყინვა ემატებათ?!
—გინდა ჩამოგწყვიტავ
რკინის საკიდიდან?!
ციხის ცხაურისას
ფერს რომ ემგვანება.?!
—ისე წაგიყოლობ
ისე აგიტაცებ,
ფრთები ჰქონიაო
ყველას ეგონება.”

ერთიც შემოლეწა
ფარდის ჯავრით
კარი,
მერე ფეხაკრეფით
ჩემს კნუტს აედევნა.

ფარდა ფორთხიალებს.
ფანჯრის რაფის მტვერზე
თითქო დაკეცილი
თეთრი აფრებია.
ზღვაზე დახტის სხივი
მზისგან ასხლეტილი
თითქო სასმისია

ბოლო დალეწილი.
მერე შავეთიდან
შემოჭენებულნი,
წელზე უპირებენ იმ სხივს
გადაწყვეტას,
მზე – რომ ჩამოკიდეს
სხივზე ღუზასავით,
მაშინ გადაწყვეტენ
ალბათ დასვენებას.

მთვარეს ჩაფრენილი
ღამე შემეყარა,
უცებ რომ ვისმინე
ქარის დაძახება,
ვიცი დასასრული
სადმე დამეწევა!
ქარის შემოტევა
როცა დამეწყება.
ყველაფერი იყო
მაშინ კარგად –
სქელი მთვარე იწვა
დედის კალთას.
ფარდამ მოვარდნილი
ქარი შეიფარა ...მაგრამ

ქარი ბუხრის ალთან
ტყე-ტყე გაიპარა.
დარჩა სახლი ავად –
ღია ლაშით.
ძვრები ბუხრის ფაშვში,
სადაც სულს უბერავ
ცეცხლის ნაცარს.
ქარი დადის ტყეში
ხმებით ალის.
ფრთები საკიდებზე
ფარდებს დაემსგავსა
და სახლს სულ ცარიელს
თეთრად აეფარა.

მთვარე ყვითელია
ოდნავ ჩაღუნული.
თითქოს სათლი
იყოს
ჭაში ჩაკიდული,
ქვაზე რახუნის
ხმით
წყალით ჩაგუბული.

26.09.2019

ნაკადული

დაჯარდნენ მთაზედ ღრუბლები,
ელვამ მთა მთაზე შეკონა,
ნაკადულს სული უთქვამდა
ქვემძრომობს კლდეებს მონადა.
ნამცეცობს თავის ნავალზე,
სიკვდილს გაუხდა ფონადა.
წვეთები შემოეფანტა
სისხამზე ნამის თხოვადა,
ყოილთა უდგას ლაშქარი,
ნისიაობენ ყოფასა.
გასხიპა წვიმამ ჰაერი,
რეკენ ზარები მოთქმადა.
ნაკადულს-სიკვდილმოსიეს,
ბანი მოსძახეს გორათა.
ჩანჩქერად გადმოვარდნილი,
ლოდებს დაათრევს სწორადა,
აღდგა და მიმოანგრია,
რაც რამ შეჰღონა ოხრადა!
ყვავილნარს შემოუფერდა,
კბილი გამოკრა ქორფასა.
ეძია გადმოსავარდნი,

მიწას დაეცა ქორადა.
ერთ წუთ ვანათობთ ამ სოფლად
ერთურთის გასათბობადა.
ნეტაი ღირდეს რამედა
ყოფნაი—შემოხვდომადა.
ხმალი, ვადაში, გამტყდარი,
არ გამოდგების ომადა.
მაგრამ სიკვდილ არ მაშინებს,
გამოვადგები სწორადა..
გამიცუდდება სურვილი
არყოფნებს შორის ყოვნადა.
ჩანჩქერად გადმოვრდნილსა
წყლებით ხმა გამცეს გორათა.
თვალზე მომდგარი კურცხალით
მთის მყინვარს ჩამაკონა და
ჩემს წინაპრების ნავალზე
ბალახ არ გამაგონა.. და
შემოალეწოს კლიტენი
ზეცათა ჩამომხობამან.
ნაკადულს, ზეცის ცურშემტკბარს,
სიკვდილთან თამაშობა აქვს.

2018.08

ამინდს წვიმიანს

შემღვრეულ ღვინიანს
ამინდს წვიმიანს...
წარსულში აბურდულ
ამბებზე ფიქრიანს,
პატარა ფინია
ფეხის ტილოზე
თვალს ჭყეტს ძილიანს
ჩავარდნილ სათლსა ჰგავს
კითხვები მთავარი
და რომ არ მიგვყვება
იქით საგზალი
და რომ სიყვარულს,
რომელიც არ არის,
ვუშენეთ საყდარი
ქვიშაზე ნაგავით.
ვაგზლის საათზე
ისრების აცდენას
ახლა ბრალდება
ჩვენი არ შეყრა.
წვიმა ცრის იმდენ ხანს,
რომ ეჭვით მთავრდება,
ვაგრძელებთ სიყვარულს,

თუ ისიც მყაყდება.
არყოფნის ლოდინის
უტაქტო ჩარევას
წვიმები აკენკავს
სევდით თავხედად.
ნისლების აშუღი
ფიანდაზს გააფენს,
ვაშლის ყვავილით
უსაგნო ლაყაფით
ეძიე მთავარი -
ყოფაში განყოფის
დაუფარავის.
ამინდს წვიმიანს,
შემღვრეულ ღვინიანს,
შესვავ და ირკვევა
აღარსად გიცდიან...

06.04.2019

დათრობები

ქარმა ფოთლები ხეებს შემოუწყო,
როგორც საფლავების ქვები,
მერე გაჩუმდა და იქვე ჩაიმუხლა,
იცოდა ღვინით დათრობები.
წასულებს შენდობა შეუთვალა,
აწუხებს ამქვეყნიდან გაქრობები,
მერე გადაიქცა მხდალ ნიავად,
მჭკნარი ფოთლების აოხრებით.
ლოთია, დამთვრალია მარტოობით
და იმ ქვეყნად სიყვარულის გაცილებით.
ახლა კიდე ქარის დარდი მინდა?!
დღეები იწებება მწუხარებით.
მჭკნარ ფოთლებს სიცოცხლეს ურიგებს
და ერთობა ხეებიდან გადმოდენით.
გული გათხრილია საფლავივით,
ტალახიან მიწაში აქვს თავკიდენი.
წახვედი?! შეგუბდები გახსნილ გულთან
და სუფთა წყლებად გაწვიმდები.
წეროების ფეხებივით აკეცილან
მზის სხივების ბოლო ნარჩენები.
ვიცი, ზამთარია უშენობის
და გულიდან მკვდარივით გაცილების!!!

07.11.2017

ალესილი ცელი

მთვარის ალესილი ცელით
მოთიბულ დღეთა ზვინებს
შეყვა სიყვარული
ჩალად...
გრილად ჭუტავენ თვალებს
მთიებნი ცისა კალთას...

სიმარტოვეში გტოვებ.
ცრემლით მოზელილ ტალახს
გიტოვებ ჭიშკრის თანა,
აშრება ალბათ დღისით,
არ შეეხება მავანს.
იმედს ეძინა ტკბილად,
გავდა ჩასუქებულ ნაგაზს,
ისე გავიპარე გუშღამ,
არ შეუმჩნევია ნაღდად.
მრგვალმთვარიანია ღამე
აძინებს ცხრათავიან დევებს
გატიკნულ ცურთა თანა,
სიზმრად უნახავთ მაგათ.
დაღვრილი რძე გზაზე,
რომლითაც ვცდილობდი.

წასვლას.
მაშინებს მათი ხვრინვა,
როგორც ქარი მონაბერი ტყიდან.
უმიზნოდ ლამაზია ირგვლივ
სიცარიელე ფიქრთა,
მაგრამ როგორც წყალი,
სხლტება ყოველთვის არსი
ღიმილსა და ღიმლს შორის
დიდი ტკივილების გავლით.
თუკი დავრჩები რამე
აბდაუბდა ცხოვრების იქეთ,
შეგეხმიანები ალბათ
მოულოდნელად ისევ.
მაგრამ არაფერი არის
მთვარის ავსების გარდა

ისევ ისე და ახლად...
დღეების მოთიბულ ზვინებს
სიყვარული ყვავილებად გაყვა.
მთვარის ალესილი ცელით
უმუშავიათ კარგად.

07.2018

ქუჩანჩალა

დაობებული გრძნობა, შემორჩენილი გულში,
გამიჩერებს უკვე სუნთქვას.
გაზაფხულის წვიმებს
ვიტრინების ჩამორეცხვა უნდათ....
შემოიჭყიტე, მზეო,
გაგიღებ დაძველებულ ჭიშკარს!
გამჭოლი ქარი ანგრევს
სულში
ძლივს გადარჩენილ მიზანს...
იფეთქებს ახლა კვირტი
და უცოდველად იტყვის,
რომ ცხოვრება თურმე ღირდა!
იღონდ მანამდე იცი,
ეჭვები გახრავენ წარსულს
და გამოლოკავენ შიგანს.

უკვე ყველაფერს ადევს ჯვარი.
თარიღების დასაწერად
მესაფლავეს ვეძებდი დიდხანს.
სააღდგომოდ დასაკლავ ბატკანს
თეთრი ღრუბელივით სძინავს.

გაწვიმდება.... და წვიმა
ფერადი ქოლგებით
აყვავებულ ქალაქს იკრავს.
ეს ქუჩანჩალა სული,
სატყაპუნოდ წვიმაში მიმყავს....
თუმცა დაობებული გრძნობა..
გულში ლბება და
ნაფლეთებად
მთელ სამყაროს ირთავს..
უძღები შვილის საზრდელია,
მაგრამ ღორებისთვის
დასაგდებად ღირდა.

ჯერ ადრეულად ცივა, მაგრამ
წვიმები იწყებენ ცეკვებს,
რომლებშიც გადავქანდები
მონატრებით,
და ვინმე მიშველის იმ წამს.

როგორი მაწანწალაა
და როგორი წმინდა
ეს შინაგანი მე,
რომელსაც ნაკადულებად,

და წვიმებად გაპარვა ხიბლავს...
აბა დაობებულ გრძნობებს
რა გაუძლებს მითხარ?
გული ჰგავს ღორების დინგით
ათხრილ მიწას
და ბატკანი სააღდგომოდ
დასაკლავად მიმყავს

09.03.2018

გადამყინვარება

თოვლი, აწკიპული ხეზე,
დამხვდა ამ ცარიელ ტყეში.
გზები, გაუთოვებული კაბა,
ამოუკეციათ გვერდით.
შემოუჭამა თოვლმა ამ გზას
ტკივილი და დაღლა.
მიყვარს შეხვედრები შენთან,
მიყვარს ის წარსული, რაც გაქვს.
გავიდნენ წლები ისე,
სიცოცხლისთვის არ ტოვებენ მიზეზს.
თაგვივით შეშინებული დღეა,
რუხი და ცრემლიანი ისევ.
მზე გამოედო სხივით
ტიტველი ხეების ფიჩხებს.
თითქო წაუვიდა ნეილონის თვალი
კოლგოტს და სირცხვილი მიწევს.
ოჰ, როგორ დავიღალე, იცი?
ვფარფატებ და ვგავარ ფიფქებს.
შენარჩუნებისთვის თურმე.
ყინვა მჭირდებოდა ძლიერ,
გამაძლებინე, ღმერთო,
ეს გადამყინვარება ისევ!

18.01.2018

S.M.S.

ქვაფენილზე
ფიფქი ეფინება
ლამპიონებზე აცდენილი.
ეკრანზე ეჭყლიტება SMS-
საცობიდან უცაბედად მოწერილი.
ინთებიან ქრებიან ეკრანები -
მუჭში ციცინათელები მოკეტილნი.
გავუშვებდი იფრინონ
ბნელეთებში,
ოღონდაც ბავშვობაში შეხეტებით.
მეძახდი ტკივილიან ამბებზე და
ძეძვში და კუროსთავში მედენები?!
თუკი წაბორძიკდი ქარაფებზე,
მერე ჩანჩქერივით აფეთქდები.
ინთებიან, ქრებიან ეკრანებზე
ტკივილები, ამბები,
ცხოვრებები.
გულია ჩატკეპნილი
თოვლივით, გავსებული.
გაივლი ფეხების დასველებით.
ამდენ რამეზე ფიქრს ასწრებენ
მუჭში მონამწყდევი ციცინათელები?!

ინთება ქრება და ელოდება,
სიბნელეში როდის გაფრინდები.
ყველაფერს ასრულებს ერთი სიტყვა -
წერტილი - ნახშირივით აუნთები.
ცხოვრება უბრალოდ ქარაფია,
მდინარის კალაპოტი კი აღუვსები.
გაივლი ან ჩანჩქერივით აგაფეთქებს
და მზის სხივებზე გაბრწყინდები,
ანდა ქარაფის გვერდზე მოვლით
ნაკადულებად დამეჩხრდები.

ქვაფენილზე თოვლი ფიფქებს აფენს
ისეთ საწყლებს, ისეთ გაცვეთილებს,
თითქო ბაირაღია ომმოვლილი
გამარჯვებებში გაუვლები.
სიტყვები არ იკენკება წერილიდან
მარტო ტყვიასავით წერტილები.
რაც დრო გადის მეტად ფასდებიან
სიტყვებს შუა დარჩენილი მანძილები.
ფიფქი აცდება ლამპიონებს,
ქვაფენილს რომ ანათებს,
თოვლდაფენილს...

ბარბარობა 2018 წ.

გულის კუნჭული

ჩემს თავს ავუკრძალე
შენზე ფიქრი,
აღარ დავიკავებ
გულის კუნჭულს.
მერცხლის ბუდესავით
შეყუჟული
აღარ მეყოლები იქ სულ,
მერე გაზაფხულებს დაველოდოთ,
იას ამოწვერილს
და მზის სუნს,
ვიცი! მონატრებით გაუძლები,
ვინმეში აერევი ჩემ სულს
და ასე სიმარტოვეს შევეჩვევი,
ვარცლში ჩატოვებულ პურს.
რაღაც საოცარი წვიმებია.
ფანჯრებს ჩამოკაწრავს და გულს
აღარ უხარია არაფერი...
ფერებს უჟმურეთი სურს.
ტურებს შეძლებიათ შემოსევა,
მგლებს მთვარე,
როგორც ცური, სურთ.
სადმე მიმაყრდნო და ამატირა

ყველა საგანძურს ჯობს...
მაგრამ არ თავდება ეს გაქცევა,
მრუდი ასწორებს მრუდს.
მაგრამ არ გორდება ეს ოხერი –
დოლაბად მიფარებულ გულს.
ტირილი – უდაბნოა გაუძლები
ფიჩხად მოგაგროვო, მსურს,
ჭიაკოკონას შევუკეთო,
ცეცხლს შევუბერავ სულს.
რატომ მომაფიქრდა შეყვარება,
გალუმპულის სახლში შეფარება,
წვიმებშიც ცეცხლია და ქუხს.
ისევ ჩაიშლება ეს ქვეყანა,
აქ ყველას ყველა სძულს.
გული ხელისგულზე მიფეთქავდა,
თითქო ვმათხოვრობდი ფულს.
სული ვერ შეძლებს შეკავებას
– დილისპირს
ნამიანობს ბალახები
და შეღებული ღამე მთვარიანი.
კარის გამოჯარვა მძულს!.
ვეძებ
ვერ ვპოულობ

გულის კუნჭულს,
სადაც მერცხლის ბუდე
მქონდა სულ.

06.10.2019

დაგემშვიდობები

ამ ჩემს გაპარვებს
მერცხლებს ვაბრალებ—
კრეჭენ დალაქები გაზაფხულს.
იყო უჩემობა,
იყო უშენობა,
მაგრამ ამოჩემება სულ—
ზამთრის მოლოდინს
მთვარის შუქი მიეკვარათა,
ო, როგორ მეზედმეტა სიყვარული:
ჩემოდანივით მომინდა
სამყაროს ჩალაგება,
ორარშინიან
სამარეში ჩაბარგება
და ციფრებს შორის განლაგება
—ესაა ცხოვრებაც სულ.
ვარ მხოლოდ სიმი მოჭიმული

ხმაური წაიღებს ყურს.,
ახლა ყველაფერი ზედმეტია!
თვალებაღუხელი კნუტები ვართ –
მივედ– მოვედეთ აბსურდებს
და მძულს!
ისევ ჩვეულებრივ
მართლაც გასაყარნი.
ერთურთს შევეფეთეთ
ასე ვერ მიმხვდარნი
და ეს სიქალწულე დროის,
წარმავალის,
დაგვაშორიშორებს უტყვთ.
უკან მიბრუნება დროში, შეუვალში,
შეუძლებელია,
როგორც ძღომა მთვარით....
ძაან შევიყვარე
სიქალწულე ჟამის...
დაგემშვიდობები სულ!

06.10.2019

გუშინწინდელა ლექსი

ვიცი, ჩაის ჭიქა სავსე არის,
ვიცი, გამაცია დეკემბერმა,
შენ დევნილობაზე მიყვებოდი,
როგორ შეგაჩვენეს მეგობრებმა.
ცაზე მზის ხივს, გაციებულს,
ხელში ეპყრა ამ სამყაროს სათავენი.
ვშიშობ, თვალები მეხუჭება,
ვშიშობ, ისევ წარღვნებს მივეცემი.
ახლა მე ისე ვარ გადაღლილი,
ალბათ ხეს ფოთლებად ჩამოვწყდები!
მაჩვენე, სადაა ის ჭრილობა,
რომელსაც გულის პირთან ვეხორცები?!
მზის სხივივით გამოჩენილს,
ალბათ წაგიღებენ კვლავ ნისლები;
როგორც „ბიჩოკი“ დასრესილი,
ტალახში უმოწყალოდ ჩაიწვები.
ეს ცხოვრება დევის კალოს ემსგავსება
ძვლების და ხორცის გადაზელით.
აქ მხოლოდ ღმერთი იყო მოსაძებნი,
ჩვენ კი ერთმანეთით ვერ გავძღებით.
მე ვიცი, რისიც ძლიერ მეშინოდა.
არის არჩევანი, რომელსაც მე ვერ ვხვდები.

ჩიტები, ჩაკეტილნი გალიაში—
ჩიტები, დევნილები არწივებში.
ქარები გველებივით სისინებენ,
ოდნავ შეღებული კარებიდან,
და სხივიც მიეყუდა მტვერიან ფიქრს
„ნუთუ ასე მალე დავიშლებით?!“
ვიცი, მაგრადა ვართ დაშლილები,
აწყობისთვის ღმერთთან გვინდა შეხვედრები,
მაგრამ დევნილები უმოწყალოდ,
უკვე ამასაც ვეღარ ვხვდებით.
დავესრისოთ ტალახიან გზას „ბიჩოკივით“,
ასე ნაუცფათი შემთხვევებით?!

ვიცი, ჩაის ჭიქა სავსე არის,
ვიცი გაციება ოქტომბერით,
გული,
გული მინდა სისხლიანი
და გულის პირთან შევხორცდები!

15.10.2017

დღის მთვარე

დღეა გადალურჯებულ ცაზე.
ოდნავ გაღებული თვალით
იჭყიტება გუშინდელი ღამე,
გამონაცვალი მთვარით.

ტაძარში სანთლებთან სუნთქვას
ვაყოლებდი უშენობის ტკივილს.
მენატრები და მორჩა!.
მხოლოდ და მხოლოდ ვდარდობ!
მიყოლიე სადმე ახლოს,
რომ ისევ შევეჩვიო სუნთქვას.
მიზნები, დაგეგმილნი წლობით.
ჰგვანან მოთიბულ ზვინებს.
ზამთარში აძოვებაა ფიქრთა,
ზაფხულში რომ იყრება იქეთ.

შემოსწრებია მთვარე
მეზობლად გამოთრობის წადილს,
ლურჯად ჩაღრმავებულ უფსკრულს,
მზე რომ მიირთმევს ყანწით.
სადმე მისაბმელი ძაღლი
დაღლილა გუშღამინდელ ტანჯვით.

შეჰყმუოდა შეუწყვეტლივ პატრონს,
მთვარე კი არ იკარებს ახლოს.

შეგვაერთმანეთოს ღმერთმა!
თორემ გავყოფილვართ ჟამით,
რომელშიც შემოგვაგდეს ისე,
რომ ვერ ვპოულობთ სამყოფს!

24.12.2017

შროშანები

წვიმაზე გამახსენდი.
წარსულით შემომესხით
შენ და ის გაზაფხული შორი
ორთა მიტოვება
სამყაროთა ცენტრში,
კარავში, სალოცავში,
აღთქმის კიდობანს ჰგავდა

შროშანებს აეკუჭათ მკვეთრი კაბის კალთა,
მუჭში ჩაკუჭული ცრემლიანი
ცხვირსახოცით
მალავენ ცრემლებსა და განცდას

და უჩვეულოდ გრძელ კისრებზე
მელნისფრად მიწერილი შროშანები
მუჭში ჩაკუჭულ ცხვირსახოცებს ჰგვანან.
თვალებში დაწრეტილა ყველა ემოცია,
მკვდრები საფლავებში წვანან.
იქ კი შროშანები, როგორც მგოსანები,
მელნით გათხუპნულნი დგანან.
გელოდი უსასრულოდ;
გელოდი უჩვეულოდ - ოკეანესავით
ოხვრას რომ აყოლებს ტალღას,
მერე დაღლილობით მიწას მიგაბარე.
აღარა მაქვს მიწის გახვნის ძალა.
მოდიან შროშანები მელნისფერნი
და კალამივით ბასრად ჩანან.
მწვანეა ეს ბალახი ისევ შეცვარული
და ისევ ყვავილებს ფარავს.
მოდიან ეს ღრუბლები,
წვიმით მძიმეები,
მთებზე გადენილი ფარა,
ტრიალებს გაზაფხული.
და ზამთრის მიტოვებას მალავს
და ვეღარც მალავს!
ფურცლები გაწერილი

დღიური საქმეებით
ღამე შეივსება ლაქად.
როგორც ტალახი,
გუბეზე გადავლილი,
ბორბლიდან შესხმული
ხარ ნაღდად.
უცებ შემაშფოთებ,
უცებ შემაგონებ,
წარსულში კავშირი რომ ჩაწყდა.
ვიდექი უფსკრულებთან,
მწვერვალთან შეუღლებულთ
რომ კლავდა უძლურობის განცდა,
ერთი შესუთქვაც და გადავიჩეხები,
მხიბლავს თავისუფალი ვარდნა!!!
ფრთები რომ არა მაქვს,
ფრთები რომ დავკარგე,
უკვე სულერთია ნაღდად!
დგანან შროშანები-
ყელმოღერილები.
მელნით დაწერილ,
ცრემლით დათხუპნულ,
ეტრატს სატრფიალოს ჰგვანან.

07.2017

იუნკერები

ტაბელს ატრიალებს
ისევ ნოემბერი,
ისევ შეჩვეული
ცივი ქარებია.
ისევ ვერ ისვენებს,
გენი საკვირველი
სისხლის წყურვილისკენ
უხმოობს გეენია!
რევოლუციების ისმის ყიჟინები,
იქ დგას პარლამენტი,
სადაც ტაძარია.
ვერა ვერ ისვენებს
სისხლი გამყიდველი
უნდა უპატაკოს რომ ზედ ალამია.
უკვე წითელი და უკვე სისხლიანი
ჭინკებს თარიღები თურმე არევიათ....
იყო გაყიდვები ოდეს საკვირველი,
გამეორებები უკვე წყეულია.!
ჭინკებს
რუპორებით ხმები ალესვიათ,
ლოზუნგ-მოწოდებას აზრი მოკლებია,
ყველა თემა ღირს

და ყველა თემა ვარგა.
ხალხი ერთმანეთს ხომ უკვე წასევია!
დაქრის ნოემბერი ყვითელ
ფოთლებს ეძებს,
მზის მკლავს ჩამოყრდნობილთ
ცუდად დაერია.
და ეს პოლიტიკა – ეშმა აბსურდების,
მხოლოდ გაყიდვების დიდი თამაშია!
ლეში რომ არ არის ალბათ საქართველო
მშიერ ტურებივით მიტომ გაჰკივიან.
ტელე ახალ ამბებს
ხმა აქვს ჩაწეული,
არაფერი ხდება
მხოლოდ არქივია.
თვეა აღებული
რევოლუციისთვის–
ყინვის კბილჩაკრული
თურმე ნოემბერი.
ყველა მართალია
ვინც დგას პარლამენტთან
„გამტყუნებულები“-
მარტო იუნკერები.

18.11.2019

ზამთარი

რაღაც ამინდია უნდო,
სრულად მეზარება
ვიყვე,
მხოლოდ ბეღურები
უფრთოდ
მიეხლართებიან სივრცეს,
რაფაზე დაეძებენ საკენკს,
ასე გაურბიან წვიმებს,
თითქო ფრენისათვის შექმნილთ
სხვა რამ ეხებოდათ კიდევ.
ზამთრის ჯურღმულებში
ძრომას,
უკვე მიეჩვია ყველა,
მზის ქოთანში ვეღარ
ყვავის სხივი,
უნდა გადანერგვა..
ჩამოიწურება დარდი
მკვდრებზე შენაკვართი კაბით,
აბა რას გვპირდება დღეთა
თოვა,
ფიფქებს როცა ბარდნის?!..
ველი მონატრებას შენსას-

როგორც მთების შეძვრას!
ვეღარ გამჩნევ ვერსად
და შენთვის ყოფნის აზრი
უკვე სანთელივით ქრება.
ვარცლში ჩატოვებულ ცომს ჰგავს
ცაზე ამობურცვა მთვარის.
მომესაკლისე-თქო ვგონებ,
მაგრამ ვერ აღგადგენ წაშლილს!
შორით გამიჩერდე მიჯობს,
წარსულს ვზეპირობ თითქოს.-
მხოლოდ საყვედურის ხმებით,
ძაღლის გალოკილი ძვლების
მსგავსი იყო წლები,
გაუხსენებლობა მომდევს
როგორც წირვას სეფისკვერი.
დღეს აღარ ებმის ღამე,
მხოლოდ აჭრიალებს კარებს
მასში გარჭობილი მთვარე.
წვიმა მთელი ღამე ჩუმად
თოვლად გარდასახვას ითხოვს.
იზღარბებოდა გარეთ და
სახლში არაფერი იხმობს,
რამდენი სისულელე მოხდა.

რამდენი უაზრობა იყო,
ფეხი დაიბერტყე კართან,
გაიძრე ფიფქიანი კაბა.
არ მსურს,
დამიცურდეს ფეხი
ფრთების ყავარჯენით მავალს...
ზამთრის ჯურღმულებში ძრომას
უკვე მიეჩვია ყველა.
ჩამოიწურა დარდი,
მკვდრებზე შენაკვართი კაბით.
ბეღურები აეხლართნენ სივრცეს,
სივრცეს უსაშველოდ მთვლემარს.
სრულად მეზარება უკვე
ამათ ასაკენკად გდება.

ზამთარია.
ძვლებზე დასულ
ჯაგლაგს- მთებს
არ ჩააცვამს კაბას,
თოვლის ფიფქებით ნაქარგს

23.12 2018

არყიანი საფენები

ამინდია - დასალევი არყის ჭიქა,
საქმეები გაულევლად მოძალებით.
ყველაფერზე წუწუნს რომ ვარ მიჩვეული,
შევიქმენი უკვე ალბათ გაუძლები.
როგორც თოვლი მსუბუქი და მოფარფატე.
ტოტებზეა მიწისპირზე ჩამოზნექით,
პირობები, მოცემული სიხარულით.
დარღვეულან შეუჩვევნი, შეუხებნი.

თავისთავად მიმავალი წლების გროვებს.
ძველ თოვლივით მიეხატა არშიები,
როგორ თეთრად, როგორ წმინდად
შემეფეთე,
მერე ჭუჭყმა გამოჭიმა აღვირები.
თოვლი-თეთრად მიგროვილი გზების კიდეს,
მხოლოდ ბავშვებს ახსენდებათ თამაშისას.
მანამ იყო ზეციური გალობები,
წკრიალებდნენ ზარებივით ყოვლადწმინდას..
მიწას ქონდა მორღვეული ჰორიზონტი,
ზეცა ტოტებს დახუნძლულებს
თოვლით ფენდა.
ყველაფარზე მეტად მიყვარს უმზეობა,

დილის პირას ზეცის თოვლით გაბუტვები.
—როგორ მინდა შეგეფეთო,
სადმე უცებ,
იყოს თუნდაც გაუცემი პასუხები.
თოვლი დნება, სახლებიდან
წვეთავს წვიმა.
ტალახს მიჰყავს
დაგეგმილი პარადები.
სადღაც გულთან შეგუბულმა
დარდმა მითხრა.
გათავდაო საზეიმო საკენკები.

ცემენტისფრად ზამთრის ზეცა
ჩამოშვავდა...
ლავასავით მოდინდება საცობები.
ქალაქია—
დაკუჭული მოსროლილი ბარათი
და
თოვლის მოსვლას
ტირილივით ველოდები...
თოვლი ალბათ ზღაპარია
მოპარული,
ღამის ბაღში დაკრეფილი ვარსკვლავები.

ბოდვასავით იწყებს თოვლი
მიმორწევას,
სულერთია მერე უკვე დაღუპვები..
მიმოწმინდა ყველაფერი
უცებ თოვლმა,
აკვანშია ეს სამყარო გადარწევით.
ყველა კითხვის უცებ ისმის
პასუხი და
ვეღარ ვრჩებით
ვეღარასდროს უცხოები.
ზეთის ხილის ტოტებს
ამტვრევს თოვლი;
დღეებია ამ ტოტების შეხორცების.
მე კი მინდა -
თოვლიანი ალიონი;
ფანჯრის რაფა -
ბეღურების სამკაპებში;
ბუხრის დუდღუნს ვუსმინო
და
შუბლზე მქონდეს
არყიანი საფენები.

02.01.2020

იალქანი

ამოწურული ვარ,
როგორც იალქანი-
ზღვაზე გაუსვლელი
გემზე გაჭიმული ანძის.
როგორც მთვარე-
ღამე რო გაფატრა
ბასრი ორლესული ხმალი,
დილას ლოკოკინად მდნარი.
გავხდი დანაკარგი
მეძებარი ძაღლის-
საჭმელს რომ დამალავს.
სიმძღრისგან ავი.
ხელზე შებმული და მოუხსნელი
შავი გიშრის თვალი-
იქით დასაცავი,
იქით გასატანი
ძაან აუხსნელი,
ტყეში გაუვალში
დაკარგულის კვალი,
უმიზნობით ყველგან მყოფი.
მაგრამ დაშლილ მძივთა მსგავსი.
ო ეს ჩრდილებისგან
ჩამოქნილი ჟამი.
წკიპზე შეკიდული არის

სამყაროთა არსი!
ერთი მთვრალი
სიტყვა,
აცდენილი ჯამით!
რაზე მიმოდიან,
რად აქვთ ფორიაქი?!
ტყეთა ფოთლის შრიალს
მეტი მიაქვს არსი.
ქალაქს მოაკითხა ვირით
თეთრით თოვლმა.
ახლა საცობებში
ტალახების გახდა გროვა.
თოვლმა უპეებზე
ცრემლი დამიტოვა.
სადღაც კოსმოსიდან
ფიფქს რომ ჩამოჰქონდა.
გულზე ჩამომდნარი
სული შემეტყობა,
როგორც ჭუპრში ფრთები,
მატლს რომ გამოჰქონდა.
თეთრი იალქანი—
ფეხმძიმობა ქარით—
თოვლმა ფერწასულმა
უცებ მოიგონა.

2019 იანვარი

ფ ი ქ რ ე ბ ი

ფიქრებს არ აჰყვე,
ფიქრები კლავენ
და მერე
სისხლით
სავსე სასმისით
შენდობას სვამენ.
და გველი ბუდობს
იქ, სადაც
უხმოდ
და არაფრისთვის
ქარებს მოუხმობ.
ომები მიდის
სრულიად უხმლოდ,
რომ წაგებულნი
სამარეს უგდონ
ფიქრებს ერიდე!
დუმილის შიგან
რომ შეგიყვანს და
ხელებს შეგიკრავს
და დასაძირი
ქვების ტომარა
ხარ უმოძრაოდ,

როგორც სუდარა.
ფიქრებს ერიდე –
არ ხრავთ მუდარა!
ფიქრებს მდუმარებს
იმედის ხრჩოლვა
ბევრჯერ უნახავთ
და გამურული
სახით მომდგარნი
წასაკითხავი
მოაქვთ ოთხთავი.
ფიქრებს ერიდე –
მდუმრიად მავალთ,
კარმოჯარულებს,
მძევლად რომ ჰყავხართ
და თოვლში კვალი
არასდროს არ აქვთ.
ფურცლის სითეთრე
თოვლივით მდნარი,
ბასრი კალმის პირს
იმ ფიქრით არის.
ვით თავის ქალა,
ნამარხი ძვალი,
გამომზირალი

ღიმილით წყნარით.
ო, ეს ფიქრები და
მათი ჟამი—
სისხლით აღვსილი
შენდობის თასი —
მკივან ტურათა
რომ ახლავს დასი!

2020.02.20 პრაღა

ჩემს თბილისს

ქალაქი არა,
ქიმერა გახდი!
გაგორებული მთების კალთაზე,
ადრე თბილისად
ვიცნობდი თურმე,
ახლა გალოკილ ძვლების გორაზე
ჭილყვავნაჭამი.
ნაომარ მინდვრად
დაყრილი ძვლების
მესმის რაკრაკი
მკივანა ქარის,
ხმას რომ იწვრილებს
და წაგებებზე მესმის ამბავი.

ო როგორ გყვარობ,
ქალაქო ძველო!
ვით ვაზი— რგული, აივნის კიბეს.
ამოყოლილი მტევნიან გულით.
ანდა ცინდალი —
ძაღლით დამფრთხალი.
შეფარებული
შენს ჟოლობს, წვიმას.
ეს ძონძად ქცევა
ბეტონის ციხის
მე ძაან მიკვირს.
მე ძაან მიკვირს
და უპატრონოდ ნარჩომი ღვინით,
დამწყალობებას ბოლოჯერ გითვლი!
მე მტკვრის ნაპირზე
დაგდებულ თევზად
არ მინდა გნახო,
ქალაქო ჩემო.
მუსლიმი გედგეს
შავ ჩადრში თავთით
და შენს შვილებზე,
ალესილ ხანჯალს
ემსგავსოს მთვარე —

ამ ღამით მტკვარზე.
იქ მცხეთის ძირში, რომ
მოთქვამს კვართზე.
შემოგვახვიეს
თათრული ძაძა,
მაგრამ მე მაინც
მიყვარხარ ძალზედ.

03.2019

ხმობა

წამოსულიყავ,
წამოსულიყავ
იქ, სადაც ხმობამ
შეძრა ნაპირი,
დანაპირები
იყო სულისდგმა. და
ყოველივე იყო ნამდვილი.
ახლა ისარმა
შეხსნა გული კარს
და ყველაფრისთვის
მე ვარ დასჯილი.
გამუდმივდები

ვიცი წასვლისას
და მიტოვებებს
ვიდრე დაითვლი.
გეტყვი, წყლული ხარ
შეუხორცი და
შეუმშრალები
მასზედ მარილი.
ვიცი, გულია
მატლი ჭიანი,
მოსასროლი და
დასაზიანი.
იყო ნამდვილი
ხმობა სულისა.
წამოსულიყავ.
წამოსულიყავ
და დაყოვნება
დილის ცვარისა,
ვიდრე ინათებს
ზეშთაკავშირი.

2019. 17.03

ნაბოლარა

მთვარის ტაფაზე
შიშხინებს ღამე,
ღამე, ზაფხულის
ცხელ დღეს რომ მოჰყვა.

მერე ვარსკვლავმა
დასვა წერტილი,
სადაც იმედი
კაეშანს გრძნობდა.
და არაფრისთვის
ვრჩები აცრილი,
რომ ფუღუროში
ბუსავით ყოფნას
ერქვას ცხოვრება,
რაც გრძნობას მოჰყვა.

გადავრჩებოდე
ამ ღამის დუმილს
და შხამიანი
სოკოთი მოწყვლას!!!

არის წვრილობი
ყოფნა - არყოფნის
- მთვარის ღიობთან
სხივებზე ბოდვა.
შხამი სოკოსი,
ნაჭამი ღამით
— ვარსკვლავიანი
ზეცის დალპობა
და შეცდომილი
მიმოდის ჟამი,
მარადისობის
ჩრდილებით მორთვა.
ბალახებს გზების
აცვიათ კაბა,
შავნაკვთიანი
და საფლავები
მიმოაქვთ დარდად.
და შხამა სოკოს
დარია, მართლაც,
ახლა ვარსკვლავით
წერტილის დასმა.

ღამის მდგმურებმა
შიშის ხმობაზე,
მთვარის ღიობიც
დავგმანეთ მყარად.
ტყდომანი ცათა
ამ ღამეს ვნახე,
ეს ვარსკვლავები
სოკოებს ჰგავდა.

ცხელი ზაფხულის
შიშხინებს ღამე,
მყოფი მოგვერდზე,
კაეშნის მსგავსად.
ბალახებს ეცვათ
გზებიდან ქმნილი,
შავნაკვთიანი
ფრიალა კაბა.

16.08.2020

ვაზი

როგორც მხვიარა ვაზი
ჩაჭიდებული ჭიგოს,
როგორც ჩამოსული ზეცა
მაისში ვარდებზე წვიმობს,
ზღვაში ჩავარდნილი ცრემლი
განურჩეველობას რომ იტკბობს,
მზის მხრებზე დაყრდნობილა დილა.
ყავარჯნად მთვარეს, რომ ითხოვს.
მიზეზი მიბოძე სუნთქვის.
რომ მარადისობაშიც ვიყო.

არ ვიცი

არ ვიცი რისთვის,
არ ვიცი რატომ
გრძელდება ჟამი
ობლად ხეტების.
ქვაფენილს ხმებზე
აკვდება დილა,
ასე უეცრად
შემოხეტების.
გითხარი, მოვკვდი -
გნახე წარსულში,

როგორც ჩარჩოში
სურათი ძველი.
წვიმამ საკენკი
აკენკა ფიქრში -
ამ დიალოგში
შეუხებელი.
რაც იყო, გაქრა!
შემოდის ახლა
ნაცვალსახელი
გაურკვეველი.
დღეების ქროლვას
ხანძრები მოქვს,
გზა შემოდგომის
და ჩანავლების.
ედემის კართან
სდგას ანგელოზი,
ორპირლესული
ხმლების კვესებით.
მივედი ბჭესთან
დაგვიანებით,
რომ ვიყო ისევ
- შეუმჩნეველი.

06.09.2018

ISBN 978-9941-8-2550-7

დაბეჭდილია
საქართველოში შ.პ.ს. ბოსი
ტელ.: +995 322 700 008